რა უნდა ვიცოდეთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ

პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალმა კანონმა საჯარო დაწესებულებებსა და რიგ კერძო ორგანიზაციებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის ან განსაზღვრის ვალდებულება დაუწესა. აღნიშნულმა საკითხმა საზოგადოების დიდი დაინტერესება გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ ახალი კანონით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და სიახლეების უმრავლესობა ძალაში პირველი მარტიდან შევიდა, თუმცა ისეთი ცალკეული დებულებები, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის/განსაზღვრის ვალდებულება, და ასევე მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სახდელების შესაბამისი ნორმები, ძალაში 2024 წლის პირველი ივნისიდან შევა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც მონაცემთა დაცვის ოფიცრები უნდა აკმაყოფილებდნენ

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სერტიფიცირების ვალდებულებას და არ ადგენს მონაცემთა დაცვის ოფიცრის კონკრეტულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თუმცა, განსაზღვრავს, რომ მას უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა მონაცემთა დაცვის სფეროში.

ოფიცრების სერტიფიცირების საკითხთან დაკავშირებით ხშირად მომართავენ სამსახურს კითხვით, გაუწევს თუ არა ის რეკომენდაციას რომელიმე კერძო სასერტიფიკატო კურსს. ამის პასუხად გვინდა გაცნობოთ, რომ სამსახური არ ფლობს ინფორმაციას კერძო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კურსის შინაარსსა და ხარისხზე. თავის მხრივ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ატარებს არაერთ ტრენინგს, აქვეყნებს არაერთ საინფორმაციო მასალას: რეკომენდაციებს, საერთაშორისო გაიდლაინების ქართულ ვერსიებს, პოდკასტებს იმისთვის, რომ ყველა დაინტერესებულმა პირმა შეძლოს ამომწურავი ინფორმაციის მიღება. მათ შორის გაცნობებთ, რომ უახლოეს მომავალში სამსახური გეგმავს ტრენინგ კურსების დაწყებას უშუალოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრებისთვის დონორული მხარდაჭერის ფარგლებში საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.



პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციები დეტალურად არის გაწერილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონში.

აღნიშნული კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციებია:

- მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და მათი თანამშრომლების ინფორმირება, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევა;

- მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობა, აგრეთვე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგი;

- მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან კონსულტაციების მიღება, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის წარმომადგენლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან ურთიერთობაში, მისი მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენა და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;

- მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სხვა ფუნქციების შესრულება.

კერძო და საჯარო დაწესებულებები, რომელთაც მონაცემთა დაცვის ოფიცრების დანიშვნის ვალდებულება აქვთ

კანონის თანახმად, ყველა საჯარო დაწესებულება, სადაზღვევო ორგანიზაცია, კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, საკრედიტო ბიურო, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია, ავიაკომპანია, აეროპორტი, სამედიცინო დაწესებულება, აგრეთვე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, რომლებიც ამუშავებენ დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს ან ახორციელებენ მათი ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს, ვალდებულნი არიან, დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრა იმ პირთა წრე, რომლებსაც არ აქვთ ვალდებულება, განსაზღვრონ/დანიშნონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/6117102?publication=0



კერძო და საჯარო დაწესებულებები, რომელთაც მონაცემთა დაცვის ოფიცრების დანიშვნის ვალდებულება არ აქვთ

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 28 თებერვლის №22 ბრძანებით (დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ აქვთ ვალდებულება დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი) განისაზღვრა, რომ დიდი რაოდენობის მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემების დამუშავებად მიიჩნევა მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის/დამუშავებისთვის უფლებამოსილი პირის მიერ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ბოლო შედეგების შესაბამისად, მოსახლეობის 3 პროცენტზე, ხოლო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების შემთხვევაში მოსახლეობის 1 პროცენტზე მეტი პირის მონაცემების დამუშავება. ამავე ნორმატიული აქტით განისაზღვრა ის კრიტერიუმები, რომლებიც მხედველობაშია მისაღები იმის შესაფასებლად, ხდება თუ არა მონაცემთა სუბიექტების ქცევის სისტემატური და მასშტაბური მონიტორინგი. ამდენად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის/განსაზღვრის ვალდებულება ექნებათ მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც პირდაპირ არის განსაზღვრული კანონის შესაბამის მუხლში ან არ ექცევიან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტით განსაზღვრულ პირთა წრეში.

ოფიცრის დანიშვნა ან განსაზღვრა

საზოგადოების ინტერესს წარმოადგენს ის საკითხიც, შესაძლებელია თუ არა რამდენიმე მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს ჰყავდეს ერთი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.
მაგალითად: რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებამ დანიშნოს/განსაზღვროს საერთო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა ან დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირებმა შეიძლება დანიშნონ ან განსაზღვრონ ერთი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ უზრუნველყოფილი იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მიერ თავისი ფუნქციების სრულფასოვანი შესრულება.

იმის შესაფასებლად უზრუნველყოფილი იქნება თუ არა ოფიცრის მიერ მისი ფუნქციების სრულფასოვანი შესრულება, მხედველობაშია მისაღები დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა, ასევე მონაცემთა დამუშავების პროცესების სიმრავლე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციის შეთავსება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის თანამშრომელმა ან სხვა პირმა მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს უფლება აქვს, შეასრულოს სხვა ფუნქციაც, თუ აღნიშნული არ წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს, ე. ი. ფუნქციურ შეუთავსებლობას.

იმის იდენტიფიცირებისთვის სახეზეა თუ არა ინტერესთა კონფლიქტი, მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული იმ დასაქმებული პირის სამსახურებრივი მოვალეობები, რომელსაც უნდა შეუთავსონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციას. **კერძოდ, იგი არ უნდა იყოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სხვადასხვა პროცესში გადაწყვეტილების მიმღებ პირად ჩართული.** დაუშვებელია, რომ მონაცემთა დაცვის ოფიცერი უწყებაში ან ორგანიზაციაში იკავებდეს იმგვარ პოზიციას ან თანამდებობას, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს, განსაზღვროს მონაცემთა დამუშავების მიზანი და საშუალება. შესაბამისად, იგი არ უნდა იყოს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ანდა მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი. ამასთანავე, იგი არ უნდა იყოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სხვადასხვა პროცესებში ჩართული პირი. ასევე, ოფიცერი პარალელურად არ უნდა ასრულებს იმგვარ ფუნქციას, რომელიც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის უწყების ან ორგანიზაციის მიერ დამუშავების პროცესების მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ინტერესთან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ანგარიშვალდებულება და დაქვემდებარება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ანგარიშვალდებულია უშუალოდ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პირველი რანგის ხელმძღვანელთა წინაშე. შესაბამისად, აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირი უნდა ექვემდებარებოდეს მაქსიმალურად მაღალი რანგის პირს, მაგალითად, კერძო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში დირექტორს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დამოუკიდებლობა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი დამოუკიდებელია საქმიანობის ფარგლებში. დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, დაუშვებელია მისთვის მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან/და მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების მიერ რაიმე სახის ინსტრუქციის ან მითითებების მიცემა. მონაცემთა დაცვის ოფიცერი უნდა იყოს აღჭურვილი შესაბამისი რესურსით, რაც უზრუნველყოფს მის მიერ ნაკისრი მოვალეობის დამოუკიდებლად, დროულად და კვალიფიციურად შესრულებას. ასევე, აკრძალულია მასზე რაიმე სახის ზეგავლენა ან ზეწოლა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ურთიერთობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის/განსაზღვრის, ასევე ამ პოზიციაზე დასაქმებული პირის შეცვლის შემდგომ 10 დღის ვადაში, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/დამუშავებისთვის უფლებამოსილი პირი ვალდებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და მისი საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური გამოაქვეყნებს. აღნიშნული პირის ვინაობისა და საკონტაქტო ინფორმაციის ვებგვერდის ან/და სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით გამოქვეყნება ეკისრება თავად შესაბამის ორგანიზაციასაც. აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის/განსაზღვრის შემდგომ, ეს იქნება პირი რომელიც წარმომადგენლობას გაუწევს შესაბამის ორგანიზაციას სამსახურთან ურთიერთობაში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრების საკითხზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ იხილოთ სამსახურის მიერ მომზადებული რეკომენდაცია - https://pdps.ge/files/content/1710401607.pdf

ასევე, პოდკასტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ - https://www.youtube.com/watch?v=sjkN8szPSnM
აუდიო ვერსია - https://podcasters.spotify.com/pod/login?return_to=%2Fdashboard%2Fepisode%2Fe2g9h2o%3Ffbclid%3DIwAR35i5VBhIpR9sJ-908CwRcqeTWGQkcWSRsEMSTwz9ZTihMSNhQX1_uOCB0

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნისთვის, რადგან აღნიშნული ხელს შეუწყობს საჯარო და კერძო ორგანიზაციებში მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვას. თავის მხრივ, აღნიშნული მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს თითოეული მოქალაქის უფლებების დაცვაზე. სამსახური მუდმივად მზად არის გაგიწიოთ კონსულტაცია თქვენთვის საინტერესო საკითხებზე. მოგვწერეთ, დაგვირეკეთ ან გამოიყენეთ სამსახურის თანამშრომლებთან შეხვედრის ფორმატები

(https://www.facebook.com/PDPSGeorgiaOfficial/posts/pfbid098TUDeARdXXvBYXi3SGToGArhLBos3C5Peq1rhwgZFf1QkuczfkYo5uDZLpRg3d3l)

(+995 32) 242 1000

office@pdps.ge

საქართველო, თბილისი, ნ.ვაჩნაძის N°7, 0105

ქ. ბათუმი, 6010, ბაქოს ქ. N48, 6010

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური